1877—1894

№ 69

ხუთშაბათი, 31 მარტი 1894

გაზეთი ღირს:

| | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 69

ხუთშაბათი, 31 მარტი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

გამგეობა ტფილისის საურთიერთო ქონების ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოებისა აუწყებს წევრებს ამ საზოგადოებისას, რომ

საერთო კრება

20 მარტისთვის დანიშნული რადგან არ შესდგა, ამ საზოგადოების დაწესებულების § 27 ძალით

დანიშნულია 3 აპრილს

კვირა დღეს, დილის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოში.

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 4 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭო, განიხილავს, სხვათა შორის, სამს საყურადღებო საქმეს: ჯერ ერთი, ამ დღეს უნდა იყოს არჩევანი ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარესი, რომლის მოვალეობასაც ამ ჟამად დროებით ასრულებს ბ-ნი ანანოვი; შემდეგ საბჭოს მოხსენდება საქმე ცხენის გამოფენის გამართვისა და ახალის ქუჩის გაყვანისა მელიქიშვილის მიწაზედ.

*** ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი რუსული წიგნი, რომელიც დაბეჭდილია 1779 წ. პეტერბურგს. წიგნი შეეხება საქართველოს ისტორიის დასაწყისიდამ მე-XVIII საუკუნემდე. უკანასკნელად აღწერილია მეფის ირაკლის ცხოვრება და მ..ს მეფობის ისტორია. ეს წიგნი დაუწერია ალექსანდრე ამილახვარს, რომელიც 1769 წ. ერეკლე მეფის ბრძანებით საქართველოდამ გაძევებულ იქმნა, რადგანაც ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულობაში ერეულა. ალ. ამილახვარი ერეკლე მეფეს სასტიკად ჰკიცხავს იმ განჩინების გამო, რომლითაც დამნაშავენი იქმნენ გაკითხულნი. წიგნის დასაწყისში დახატულია სურათი თვით ამილახვრისა.

*** ტფილისის ერთის მახლობელ სოფლიდამ ამ დღეებში ჩამოიტანეს ერთი პატარა ძველი, დახეული „კარაბადინი“, რომელიც სხვა ძველ ქართულ კარაბადინებისაგან მით განირჩევა, რომ აღწერილია ყველა ის სპარსული და არაბული სიტყვები, რაც წიგნში არის ხსენებული; გარდა ამისა აღწერილია ძლიერ ბევრ ბალახის თვისებანი, თუ რომელი ბალახი რა თვისებისაა, გრილია, მხურვალე, თუ სხვა თვისებისა. წიგნი გადაეცემა წერა-კითხვის საზოგადოებას.

*** განსვენებულ დ. ჩუბინაშვილისაგან პეტერბურგში დაბეჭდილ ქრისტომატია „წერაკითხვის საზოგადოებას“ მოსვლია გასასყიდად.

*** პარასკევს, 1 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. მორიგ საქმეთა განხალვის გარდა, კრება მოისმენს იმ კომისიის მოხსენებას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გადაეწყვიტნა ვის მიესაჯოს წლიური ჯილდო საზოგადოებისა. ამას გარდა განხილულ იქმნება ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა $189^3/_4$ წლისა. დასასრულ, კრება მოისმენს ვ. კ. პანჩენკოს სამეცნიერო წერილს: ბუნებავე როგორ იცავს ადამიანს ავადმყოფობაში.

არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ კრებას.

*** ამ დღეებში დანიშნულია კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება. მორიგ საქმეთა განხილვის გარდა, კრება მოისმენს ა. ლ. ბუტენკოს, ი. კ. სავიცკისა, ი. დ. კოლჩევსკისა და დ. ზ. ყორღანოვის მოხსენებათა სხვა-და-სხვა საგნის შესახებ, რომელსაც-კი რაიმე დამოკიდებულება აქვს ამიერ-კავკასიის სამოსამართლო საქმეებთან სამოქალაქო პროცესის სფერაში.

*** ტფილისის პოლიციის პირველ განყოფილების ბოქაულის თანაშემწემ თავადმა ივანე წულუკიძემ, რომელმაც ამას წინად მთელ ბუნაგს ბეძავ ქალებისას სასტუმროებში მიაგნო, ახალ ოლგას ქუჩაზედ, ალი-ყულის ტრაქტირში აღმოუჩენია ქალალდის თამაშობადა ზოგიერთს ნომრებში საიდუმლოდ დაფარულნი ბეძავნი ქალნი.

*** სომეხთა მსწავლულს მხითარისტს სომხეთის ისტორიკოსს ალიშანს დასავლეთ საქართველოს ადგილებიც აღუწერია თავის ვრცელს ისტორიულს თხზულებაში და მთლად დაუხატავს ხახულის ტაძარი, იშხთისა, პარხლის და სხვები.

*** სომეხთა ახალგაზდები ამ უკანასკნელ ხანებში ქართულ ნაწერების თარგმნას გულ-მოდგინედ მისდევენ. აპირებენ, სხვათა შორის, „სურამის ციხის“ გადათარგმნასაც და სხვა საყურადღებო ნაწერებისას.

*** ჩვენ მივიღეთ ზ. ჭიჭინაძისაგა ახალსენაკში, კ. თავართქილაძის სტამბაში მეორედ დაბეჭდილი ან. ფურცელაძის პოემა „მარაბდა“, ფასი 15 კაპ. და „წყალობა“ ისტორიული პოემა, მეორედ დაბეჭდილივე, ფასი 10 კაპ.

*** სომხები ყოველ წლიურად ასი-ათას მანეთობით სწირავენ ფულს თავისთა უმცროს ძმათა სასარგებლოდ. იშვიათად გარდაიცვლება რომელიმე სომეხი, რომ თავისი წვლილი არ მიაწოდოს სამადლო, საქველ-მოქმედო, საქვეყნო საქმეს. „არძაგანქის“ გუშინდელს №-ში დაბეჭდილია, რომ მას შემდეგ, რაც სომეხთა კათალიკოსი ეჩმიაძინში მივიდა, ამ ეკკლესიაში მიუღიათ საქველ-მოქმედოდ შეწირული ფული 25,610 მან.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ე სწერს, დაბეჯითებით შევიტყეთ, რომ ზუგდიდის მაზრის უფროსის ბ-ნ ყიფიანის ადგილას დანიშნულ იქმნება მისი თანაშემწე თ. დ. დადიშკელიანიო.

*** კავკასიის სამოსწავლო მზრუნველის შუამდგომელობისა თანხმად, მთავარ-მართებლის თანაშემწეს გრაფ ტატიშჩევს სტიპენდიანტებად ჩაურიცხავს შემდეგი კავკასიის მოსწავლენი: მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტები ალექსი ნადეჟდინი ვართანეს ვართანესიანცი, ევგენი თევდოროვი და ნიკიტა ბახჩიევი; ხარკოვის უნივერსიტეტში—სტუდენტი ნიკოლოოზ როსტომბეგოვი; მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებელში — ნიკოლოოზ კუნდუხოვი. («Тиф. Лис.»).

## დამაკვირდი

ქურდიც-კი დანაშაულის ჩადენის დროს ღმერთს შესთხოვს შველასა და დახმარებას.

თალმუდი

**

რაც სიფაქიზეა სხეულისათვის, იგივეა მართებულობა სულისათვის.

ბაკონი

**

რას ვაქნევ გამხმარს ყლორტს, თუნდა დიდად ნაყოფიერის ხისაც იყოს.

არაბ.

***

ქარიშხალია, ზღვა რისხვით ღელავს,
არეულია სრულად ბუნება
აგერ გემებიც მისრიალებენ
და მათი კვამლი ცას ებურება...
აგერ ხომალდიც გადაშლილია,
ვით ვერხვი თვისის თეთრის ფოთლებით
და იალქანი წყალს ეფინება,
თითქო მუხლს იყრის თხოვნა-ვედრებით:
— ზღვაო ძლიერო! მე კაცმან შემქმნა—
შენ-კი ბუნებამ აგეთი ძალი,
და არ მგონია მე შენთან მქონდეს
ცოდვა რაიმე, ან დასაბრალი!..
თუ შურს მიძიებ მიტომ რომ შენზედ
მიმოვსეირნობ აქეთ და იქით
კაცი მეფეა ამა სოფლისა

## ფელეტონი

### საკუთარი რამე-რუმე

(წერილი გურიიდამ)

ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ალშიბაია უკვე გურიაშია და გურულთა შორის ცხოვრებს. ახალ წლისა ..რ იყოს, ყოველ ახალ მაზრის უფროსს, როგორც ამ რამდენისამე ..ლის გამოცდილებით ვიცი, სიხარულითა და აღტაცებით, იმედითა და ..სოებით დავხვედრივართ და ყველას ..რთა-მოკვეცილნი და იმედ-გაცრუებულნი გავშორებივართ. გურია და ..რულები ვერავინ შეიშვნია და შეი..რა და უფრო-კი ვერავინ შეითვისა და შეივრდომა.

„ცა მოიწმენდავს, ღრუბელნი
წვიმად რომ დაიღვრებიან“-ო

სთქვა პოეტმა. გურულთა ცხოვრების ცის ღრუბელი ამ უკანასკნელის ათ-თხუთმეტის წლის განმავლობაში წვიმად-კი არა ცრემლად და სისხლად იღვრებოდა...

ბ-ნი ალშიბაია, როგორც შორიდამ გვსმენია, დინჯი, დარბაისელი, შორს-გამჭვრეტი, მკვიდრთა გულშემატკივარი და გამოცდილი ადმინისტრატორია თურმე. იმედია, ყოველ ამ ღირსებას სრულიად და სავსებით გამოიჩენს ჩვენში.

გურულები, ბატონო, როგორც მოგეხსენებათ, დიდად გულ-ჩჩვილი და მეტის-მეტად ნაზ მგრძნობიარობის პატრონი ხალხია. ჩვენმა „გულთა-მხილავმა“ პოეტმა აკაკიმაც, როგორც მახსოვს, როცა „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ ლექციებსა ჰკითხულობდა, სწორედ ეს განსაკუთრებული ხასიათი აღნიშნა გურულებისა. ასეთის ხალხის გულის მოგება და სულის კვეთების გაგება შესაძლოა მხოლოდ სიყვარულით, ალერსით, თავაზიანის საქციელით და მშვიდის მოქმედებითა. და მართლაც გურულთან მუქარა, დატუქსვა, გალანძღვა, გალახვა და სხვა რეპრესიული ღონისძიება ამაოა და სრულიადაც არ გასჭრის. ჩვენში, ჩვენდა სამწუხაროდ, მოვა თუ არა მაზრის უფროსი, მაშინვე წარსდგებიან მის წინაშე ვითომ კეთილისმყოფელნი და კეთილის მრჩეველ-მოთათბირენი ქვეყნის გულ-შემატკივრობის ნიღაბ-ჩამოფარებულნი გვამნი და თავიანთ რჩევა-თათბირით იმდენს იმოქმედებენ, რომ, რაც უნდა წალმართი კაცი მოგვივლინოს ღმერთმა, უსათუოდ გააუკუღმართებენ, რაც უნდა მშვიდი და წყნარი იყოს, უსათუოდ გააცოფებენ და გადარევენ, რაც უნდა დიდად უყვარდეს ხალხი და ქვეყანა, უსათუოდ შეაძულებენ. ამ გვამთ კარგად იციან, რომ მათი ასეთი მოქმედება გამანადგურებელ ცეცხლს გააჩენს ცხოვრებაში და მუდამ მზად არიან ამ ცეცხლზე ხელი მოითბონ; იციან, რომ ყოველივე ეს წყალს ამღვრევს და მარჯვედ მომართული აქვთ თავიანთი ანკეს-ბადე, რომ ამ მღვრიე წყალში თავისუფლად გააჩაღონ თევზაობა. ბოლოს, როცა საქმე წახდება და საქმის სათავეში მდგომი, ასეთ კეთილის მყოფელთა რჩევა-თათბირით დავთარ-დაბნეული თავის საქმეთაგან გარიყული დარჩება, მაშინ მოთათბირე დარბაისელნი ტარტაროზურად იღიმებიან, ბუქნას უვლიან და იმღერიან: „ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო“...

ეს ის ფონი გახლავთ, ბატონო, რომლისათვისაც ყველა მაზრის უფროსს, ვინც-კი ჩვენში ყოფილა, მიუმართავს და რომელსაც ყველა ერთ ალაგას დაუხრჩვია.

**

ამაებს გარდა მაზრის უფროსს ჩვენში სხვაც ბევრი საქმე აქვს, რომელთა წინდაწინ შეგნებადა გათვალისწინება დიდად გაუადვილებს მკვიდრთა თანა სასურველ ურთიერთობის დამყარებას. შეძლებისადა გვარად, აღვნიშნავ ამ საქმეებს.

პირველი ამ საქმეთაგანი ის გახლავთ, რომ მაზრის უფროსი კარგად გაეცნოს ყველა მის ხელ-ქვეეითთა და თანა-მოსამსახურეთა სულიერ თვისებას და ზნეობრივ მხარეს. „უკეთური კაცი ცრუ არსო“, სთქვა წინასწარმეტყველმა და სრულიადაც ნუ გაუკვირდება, რომ მის ხელ-ქვეეითთა შორისაც აღმოჩნდნენ ცრუ, მატყუარა და გაიძვერა კაცები.

კაცი ცრუ და მოღალატე
ხამს ლახვრითა დასაჭრელადაო

ამ გვარ კაცთა ლახვრით დაჭრა ის იქნება, რომ იმათ შუამდგომლობას იმათ მოხსენებას, მარტო ლიტონის სიტყვით მოქარგულს ნუ მოისმენს, ვიდრე თითონ პირადად არ დარწმუნდეს ამა თუ იმ მოხსენების სინამდვილეში. ეს მით უფრო ადვილია ახალ მაზრის უფროსისათვის, რომ ის ჩვე-

უნდა იაროს მან კიდის კიდით.
მე რა ბრალი მაქვს, მან დამდგა შენზე,
მან გამომაბა ეს თეთრი ფრთები, —
მან გამაკეთა თვის სასარგებლოდ,
დღეს რომ შენს უფსკრულს საწყლად
ვინთქები!..
შენ-კი არ მისმენ, ღელავ და შფოთავ
ყურსაც არ უგდებ—ჩემს გულწრფელობას,
მაგრამ იცოდე შენ ჩემის დანთქმით
ვერ აღხოც ქვეყნად კაცთა მეფობას!
ნახავ ოდესმე შენვე ინანდე
ესოდენ ცოდვას შენგან ჩადენილს
და გულ-გამშრალი მწარედ ჰგოდებდე
განგების რისხვას შენთვის დადგენილს.

განდეგილი.

### ა. ყაზბეგის ნახატი

„Всемірная Иллюстрац.“-ს უკანასკნელ 1306 №-ში, დახატულია განსვენებული ალექსანდრე ყაზბეგი რომელსაც აწერია: „А. М. Казбекъ (Мочхубарадзе), грузинскій писатель, † 11-го января сего года.

იმავე №-ში მოყვანილია კრცელი ბიოგრაფია განსვენებულისა. წერილი ხელმოუწერელია და მის შინაარსის მიხედვით იგი უფრო რედაქტორის ნაწარმოები უნდა იყოს. წერილი დაწერილია დიდის თანაგრძნობით განსვენებულისადმი. მოთხრობილია მთელი მისი ცხოვრება ყმაწვილობის დროიდგან მოკიდებული მისს გარდაცვალებამდე, მისს პირველ სალიტერატურო ნაწარმოებიდამ უკანასკნელამდე. «მოთხრობა „ელგუჯა“-მ განაცვიფრა ქართველი საზოგადოება და ამ შესანიშნავ ნაწარმოების შემდეგ ერთბაშად სახელოვანი შეიქმნა ყაზბეგი. მწერალი სრულად აღტყინებული იყო პატრიოტიზმით და თავის ცეცხლებრივ ენით მთლად მოჰხიბლა—ქართველთა სული და გული, აღანთო მათში სიყვარული მამულისადმი, აღანთო ლამპარი თვით არსებობის შემეცნებისა. ყაზბეგმა თავის კალმით ერთბაშად შესძრა და განუფრთხო მილი ქართველს, რომელსაც მანამდე ამ ქვეყნიურ ბედნიერებად მიაჩნდა მეჯლიშ-სერი. დიახ, საყვარელი შვილი მამულისა, თავის, ცოცხალ კალმით, ღრმად ჰკაწრავდა გაყინულ გულთ! ყაზბეგის ქნარის ხმა უწვდებოდა კაცის გულის საიდუმლოებამდე... ახლა არ იკითხავთ, როგორ მოეპყრნენ ქართველნი ამ ტალანტს, მათივე გულისა და ჭკუის განმაცოცხლებელს? ამის პასუხი გულსატკენია...

შემდეგ მოთხრობილია რა დიდს და წარმოუდგენელს გაჭირვებაში იყო ყაზბეგი, რა ტანჯვით გაატარა მან უკანასკნელი სამი წელიწადი. „სულიც-კი ისე ამოხდა საწყალს, რომ ამ დროს არც ერთი მისი თანამემამულე ახლოს არა ჰყავნდა, არც ერთი იმ თანამემამულეთაგანი, რომელთა მან შესწირა მთელი თვისი სიცოცხლე, სიმხნევე და ჭკუვრონება...“ ავტორი თავის წერილს აბოლოებს ამ გვარ მწარე საყვედურით. «მისს სიკვდილის შემდეგ მხოლოდ, მისნი თანამემამულენი იღვრებიან ცრემლით და მის ხსოვნას აპატიოსნებენ გვირგვინებით, პანაშვიდებით, ზეიმით მოსილ გასვენებით განსვენებულისა... ასე გამოდის, რომ ქართველთა და სომხთ მოღვაწეთ სიცოცხლე ბედად უწერიათ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ».

ესომ

### ქართული თეატრი

ვ. ა. აბაშიძის წარმოდგენა

სამშაბათს, 29 მარტს, არტისტმა, ქართულის სცენისამ ვ. აბაშიძემ ტფილისის საბრანიეში გაჰმართა წარმოდგენა ქართულის დასის არტისტების მონაწილეობით. წარმოადგინეს „ბაიყუში“, ორ-მოქმედებიანი კომედია ა. ცაგარლისა და „ცელქები“, ხუმრობა-ვოდევილი ერთს მოქმედებად.

ორივე პიესის წარმოდგენით საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა, განსაკუთრებით საფაროვის ასულის ხელოვნურის თამაშობით. რევაზ თავქარიანის ქალის თალიკოს როლში. სამწუხაროდ, გაბუნიას ასულის როლს ასრულებდა ქ-ნი რჩეულაშვილი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, რიგიანად ვერ მომზადებულიყო ვერც პირველსა და ვერც მეორე პიესაში.

ამ კომედია-ვოდევილს შემდეგ გამართული იყო დივერტისმენტი, რომელშიაც ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა რუსულად იმღერა კუპლეტები „შეშლილია“, ბ-ნმა შათირიშვილმა იმღერა კუპლეტებივე „ჯოჯოხეთში“, ცხომელიძემ იგალობა ერთი საგალობელი ოპერეტ „მგალობელნი ჩიტნი“-დგან „ჩემი მოხუცი ბიძა“ და სომხურის დასის არტისტმა სალამური დაუკრა, რაც ბევრმა მართლა რომ ხალისითა და სიამოვნებით მოისმინა.

შემდეგ გაიმართა ცეკვა ევროპიული და ქართული; აქ ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ რაც დრო გადის, ლეკურის რიგიანად მოცეკვავეთა რიცხვი თანდათან კლებულობს და მცირდება. ჩვენი ახალგაზდობა ევროპიულს ცეკვა-თამაშს უფრო ეტანებიან და ისეთს საუცხოო ცეკვას, როგორიც არის ლეკური, რომლისაგანაც აღტაცებაში მოდიან ყველა მისი მნახველნი უცხოელნიც-კი. ამ საღამოს მხოლოდ ერთი ბახუტაშვილის ასული იყო, რომელმაც მართლა რომ ძველებურის ჰაეროვნებითა და სინარნარით იცეკვა მამა-პაპური „ლეკური“ და საზოგადოება დაატკბო თავისის მოხდენილის თამაშობით.

საღამომ საერთოდ მხიარულად ჩაიარა და თუმცა, იმდენი საზოგადოება არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო, მაინც საკმაო ხალხი იყო.

მანოელიძე

### კორესპონდენცია

—

**ბათუმი.** საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ამ უკანასკნელ წერილს ბათუმიდგან სკოლის შესახებ, მხოლოდ იმისთვინ, რომ იმ ნაწილმა საზოგადოებისამ, რომელიც დაშორებულია სკოლაზე, ცრუ აზრი არ შეადგინოს ეხლანდელ ბათუმის სკოლის მდგომარეობაზე. ამას წინადაც იყო გაზეთში ამ ნაირი უსაფუძვლო შენიშვნა. სტუმარი კორესპონდენტი, როგორც სჩანს მისი სკოლის საქმის უცოდინარეობიდგან, კითხულობდა თუ რა მიზეზია, რომ ბათუმის ქართველების სკოლაში მაჰმადიანები არ სწავლობენო?

მართალია, სკოლაში 1893 წლის განმავლობაში 2—3 მაჰმადიანთ მოსწავლის მეტი არა ყოფილა, მაგრამ სკოლის გამგეობას მიზანი ჰქონდა სიჩუმის, თორემ მას შეეძლო როგორც წინა წლებში, 7—8 მოსწავლე მიეღო სკოლაში და ჩვენი ცნობის მოყვარე კრინტს არ დასძრავდა. 1893 წლის სიჩუმის შედეგი ის იყო, რომ ეხლა სკოლაში 21 მაჰმადიანთ მოსწავლე გვყავს და შემდეგ წლებისთვინ ვიმედობთ, რომ ორმოცამდე გვეყოლება. ბ. „კორესპონდენტი“ ამ წელში არამც თუ სკოლაში არ შემოსულა, არამედ სკოლის მახლობლადაც არ გაუვლია, თორემ ადვილად შეამჩნევდა ჩვენ ყმაწვილებ შორის პატარა წითელ ქუდა მოსწავლეებს. ყოველ შემთხვევაში სასურველია, რომ მეტს ვაკეთებდეთ, მაგრამ რა უნდა ქნას ერთად ერთმა სკოლამ იქ, სადაც 100 ათას მცხოვრებზე მეტია წერა-კითხვის უცოდინარი. იმის შესახებ თუ ვითომ სკოლის კომიტეტი გვერდს უვლიდეს იმისთანა პირებს, რომლებსაც სარგებლობა შეუძლია მოუტანოს სკოლას, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ჩვეულებათ არ გვაქვს და არც რიგია, რომ ძალად, ხელ-ჩაკიდებული, მოვიყვანოთ ვინმე სკოლის კრებაზე. ვისაც სურს ნამდვილი დახმარება ჩვენ საერთო საქმეში და გული შესტკივა, ის დაუპატიჟებლადაც მობრძანდება.

ბათუმის სკოლის მასწავლებელი
მ. შარაშიძე.

—

**ქ. სიღნაღი,** 28 მარტი. მიდის, რაღა, ჩვენი ცხოვრება ძველებურად, ჩვენებურად და მდორედ. არაფერში არ გვეტყობა გამოფხიზლება, არც ზნეობრივად და არც გონებრივად. ამოდენა ქალაქს გვაქვს ერთად ერთი სამოქალაქო სასწავლებელი, რომელშიაც ორიოდე ბაღანას ძლივს ვატარებთ. ვართ და შევყურებთ გულხელ-დაკრეფილი და ყბა გალებული ჩვენს მოძმე და მეზობელ ხალხს—სომხებს; გვშურს მათი განათლება, მოხერხებული ცხოვრება და სხვა. გვშურს და გვენატრება, რომ ამათი პატარა ქალიშვილები მიეჩქარებიან დაიღლიავებულ წიგნებით ჰკვა-გონების შესაძენ ტაძარში და გვიკვირს, რომ გუშინდელი უსუსური ყრმა ქალი პატარახანს უკან მშვენივრად და სხაპასხუპით ლაპარაკოპს თავის დედა-ენაზედ, მღერის და გალობს, სწავლობს საგნებს, იძენს ცოდნას, ეჩვევა რუსულს, უცხო ენებს და სხ. მოქალაქეთა შორის ქართველნი, თუ არ მეტი, იმათზედ ნაკლები არ არიან, რიცხვით, აგრეთვე ჩვენი ქალები, მაგრამ ამათ, არა თუ წერა-კითხვა, ჭრა-კერვა და სიმღერა-გალობა, არამედ დილის ლოცვაც-კი არ იციან არც თავიანთ დედა-ენაზედ და არც უცხოზედ. არ იქნებოდა ურიგო, რომ ერთი სამრევლო სკოლა ამ უბედურ ქალაქსაც ჰღირსებოდა, ეგებ ჩვენის ხელ მოკლე ხალხის ქალიშვილებსაც მცირე ოდენის ხარჯით მცირეოდენი სწავლა მაინც მიეღოთ. იქნება მოხერხდეს კიდეც, მაგრამ მოთავე არა გვყავს, მოთავე!

ამას წინად ს. ქვემო მაჩხაანის საბოქაულო ხალხს გამოუცხადა მაზრის უფროსმა, რომ თქვენს საზო[illegible]ულოში ერთი კარგი სამეურნეო სკოლა უნდა გაიმართოსო და კარგი ფართე ადგილი ჰნახეთ სახლების აშენებლად სკოლისათვისაო; ფართო და მოზდილი ადგილი იმიტომ არის საჭირო, რომ, სკოლასთან სამეცადინო ბაღიც უნდა გაშენდესო. როგორც შეიტყეს ეს მართლაცა და სასიხარულო ამბავი, ისე მიიღეს ჩვენმა გლეხ-კაცობამ, რომ სიხარულით ზოგს ცრემლიც გადმოსცვივდა. იმათ, ვისაც ჩვენვე, ჩვენის უგუნურობით ქიზიყელ ოტროველას ვეძახით, სასწავლებლის გამართვის ამბავზედ ცრემლები სცვივათ, და ჩვენ-კი, რომელნიც ჩვენის მოქალაქეობით ვამაყობთ, გულზე ხელები დაგვიწყვია და შევყურებთ სხვისა ბედნიერებას პირ დაღებული და გაოცებული.

ამას წინად, 13 მარტს ერთი ვიღაც თვალთ მაქცი ეწვივა ჩვენს გამოუფხიზლებელ სიღნაღს და დაიწყო სათვალთმაქცო წარმოდგენების მართვა. გარდა მალაყებისა და თვალთმაქცობისა, აჩვენებდა საზოგადოებას გაწურთვნილ ძაღლების ვარჯიშობას. რამდენისამე წარმოდგენით ასიამოვნა ჩვენი საზოგადოება, და უფრო ნამეტურ თავისი ჯიბე, კარგი ხარკიც გადაგვახდევინა სიღნაღელებს, გაივსო ჯიბე და გასწია. ამისთანა საქმეში ბუზებივით თავს შიგ ვიხრჩობთ, და სწავლა მეცნიერების შეძენისთვის-კი, ღვთის წყალობა გაქვთ, ჩვენ მოვკურცხლავთ და მივიმალებით ხოლმე, ცხრა კლიტურს და მიუგნებელ ადგილას.

გუშინ, 27 მარტს სიღნაღში დატრიალდა ერთი შესაზარავი უბედურება, სიღნაღ—ზაქათალის მაზრების სამხედრო უფროსის სამართველოს საქმის მწარმოებელ ბ-ნს სტანიშევსკის სადგურში სადილს შემდეგ ესე 4 საათზე, რევოლვერით თავი მოიკლა, საბაჟო მოხელემ ყმაწვილმა კაცმა ბეგლაროვმა. ამ შემაძრწუნებელ შემთხვევას აბრალებენ უიმედო სიყვარულს. ეხლა ჩვენებურ მოქალაქეთ და ნამეტნავათ ჰორიკანა მანდილოსანთ ეს-ღა აქვსთ სალაპარაკო.

---

ნი მიწა-წყლის შვილია, ჩვენი დედაენის მცოდნეა, უთარჯიმნოდ და უშუამდგომლოდ შეუძლია ყოველისავე საქმის გარემოება თავისთავად გამოიკვლიოს და გამოიწვლილოს. არა თუ დაახლოვებულნი ხელ-ქვეითნი, არამედ სოფლის მწერალ-მამასახლისნიც ახერხებდნენ ჩვენში მაზრის უფროსის შეცდომაში შეყვანას და თვალის ახვევას. მაზრის უფროსნიც ხედავდნენ, რომ გუშინ მათის წარდგენით დაჯილდოვებული მამასახლისი, დღეს უცნაურის თაღლითობით ატყუებდა მათ; მაგრამ აბა ვის რას ეტყოდნენ, განა სირცხვილი არ იყო გაემხილათ, რომ ის, ვინც გუშინ ისეთის ქება-დიდებით შევამკეთ, დღეს ფლიდი და გაიძვერა გამოდგა! ამ ნაირად, მწერალ-მამასახლისნი ზოგჯერ იმდენად გათამამებულან, რომ ფირალთა ხელის შეწყობა დი ხელის დაფარებაც გაუბედავთ. ხოლო მათ სხვა გვარ სიავეს და უკაცურობას აგრე ადვილად ვინ მოსთვლის! ახალ მაზრის უფროსს, როგორც გამოცდილ კაცს, უეჭველია, ეცოდინება, რომ ამ მხარეს მისის სამსახურისას ძალიან ფხიზელის თვალებითა და მახვილის ყურებით უნდა განცდა. ცხოვრების ის ჭუჭყი და ტალახი, რომელშიაც ხშირად ხელ-ქვეითები ისვრებიან, ხელ-ზევითებსაც არა იშვიათად აჭუჭყიანებს და ატალახიანებს. ამიტომ ყოველი პატიოსანი ადმინისტრატორი უნდა ცდილობდეს, რომ უმწიკვლო და უზადო ზნეობის პატრონნი კაცები სწევდნენ მასთან ერთად მძიმე უღელს ხალხის მართვა-გამგეობისას. სხვა რომ არ იყოს

ხე ხილისაგან, ხილი ხისაგან,
ნათქვამია, იცნობება.

**

როცა ამ მხრით უზრუნველჰყოფს მაზრის უფროსი თავის თავს და თვის მაზრას, შემდეგ ყოველივე გაადვილებული იქნება მისთვის და შეუძლია მკვიდრთა საკეთილ-დღეოდ ბევრი სიკეთე დასთესოს, აღმოაცენოს და ნაყოფი გამოაღებინოს. ამ საქმეთა შორის პირველ ალაგს, ჩემის აზრით, სამეურნეო სასწავლებლის დაარსება დაიჭერს. რამდენმამე საზოგადოებამ უკვე გაიწერა მომავალ სასწავლებლის ხარჯი და კიდევაც იხდის. დანარჩენი საზოგადოებაც, უკეთუ შემგონებელი კაცი იქნება, უარს არ იტყვის ამ ხარჯზე და ამნაირად სამისა თუ მეტ-ნაკლების წლის განმავლობაში სამყოფი თანხა შედგება, რომ ჩვენშიაც დაირწეს აკვანი მომავალ მეურნეთა.

გურულ კაცს სწავლა-განათლების საქმეში უკან არაოდეს არ დაუწევია, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელ-მძღვანელნი ხალხისა ეჭვის თვალით უცქერდნენ ხალხის ამ საკეთო მისწრაფებას. ვის გაუგონია ხალხის განათლება და უვიცობიდამ გამოყვანა, ფიქრობდნენ ისინი და თავის თანამოაზრეთა შორის კიდევაც ლაპარაკობდნენ, ინდოურზე უსულელესი და უუგუნურესი არსება რაღაა ქვეყანაზე, მაგრამ აბა ერთი ხორცი გაუსინჯეთ, რა გემრიელი აქვსო!

მიუხედავად ასეთის შავ-ბნელის პოლიტიკისა, ბუნებრივმა ნიჭმა და მიხვედრილობამ გურულები იქნამდე მიიყვანა, რომ დღეს სწავლის სარგებლობაზე და შვილის აღზრდის საჭიროებაზე დიდი ჩიჩინ-ჭიჭინი აღარ უნდა. ამას ცხადად ამტკიცებს საერო და სამრევლო სკოლათა გამრავლება, წიგნთ-საცავის და სამკითხველოს აქა-იქ დაარსება და სხ. იმედია, ახალი მაზრის უფროსი ხელს შეუწყობს ამ სასარგებლო დაწესებულებათა გამრავლება-გაძლიერებას; ხელს შეუწყობს სანუგეშო მისწრაფებას ხალხისას სწავლა-განათლების საქმეში.

გზები? სასოფლო გზების მნიშვნელობა-სარგებლობაზე ლაპარაკი, რასაკვირველია მეტია. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენი გზები ძალიან უნუგეშო ყოფაშია, რადგანაც, როგორც სხვა ყველაფერი, გზის კეთების საქმეც უკუღმართად იყო ჩვენში მოწყობილი. ნათლი-მამობით, ხათრი-ჯამითა და პურ-მარილის მეოხებით ზოგჯერ ისეთ ალაგას აკეთებდნენ გზებს, სადაც ნაკლებად საჭირო იყო. ხოლო ნამდვილად საჭირო სადაც იყო, იქ არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ხშირად მამასახლისები და ეგრედ წოდებული გზ[illegible] „ნადზირატლებიც“ ბოროტ-მოქმედობდნენ ამ საქმეში; თორემ სხვებზ[illegible] აბა რა გვეთქმის!

რა თქმა უნდა, მაზრის უფროს[illegible] მხრით ეს საქმე დიდ ყურადღებ[illegible] და გულ-შემატკივრობას მოითხო[illegible] და რადგანაც გაჭირვებულ კაც[illegible] ნუგეში ყოველთვის იმედია, [illegible] გვექმნება, რომ ახალი მაზრის უფ[illegible] ამ საგანსაც მიაქცევს ჯეროვან ყ[illegible]დღებას.

დათიკო ვერმიცანაშვილ[illegible]

აქეთ, ეს ორიოდე დღეა, მშვენიერი ტაროსი სდგას. ხეხილებმა, უფრო ნუშებმა, იწყეს აყვავება, დანარჩენ ხეხილსაც ეტყობა ნეკერკუკური.

ქართველი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** მუშათა დასის დეპუტატს ჟ. გედს უნდა წარუდგინოს პარლამენტს განსახილველად წინადადება დღეში მხოლოდ 8 საათის მუშაობის შესახებ. ამ საგნის გამო კლემანსო ამტკიცებს თავის გაზეთს Iustice-ში, რომ სამუშაოდ დანიშნულ დროს შემცირება სასარგებლო იქნება, როგორც საქმის პატრონთათვის ისე მუშათათვისაო. მაგალითად კლემანსოს მოჰყავს ერთი ქარხანა მანჩესტერში. იქ პატრონმა 8 საათს შემოიღო მუშაობა საცდელად ერთის წლით. იფიქრა, თუ ზარალი ვნახე, ისევ მეტს ხანს ვამუშავებ ხალხსაო. წელიწადი გავიდა და ახლა ვიცით, რაც მოჰყვა ამ ცდას: თუმცა დრო მუშაობისა შეამცირა და სასყიდელიკი ისევ წინანდელი აძლია, მაინც ზარალით არა იზარალა-რა. მუშები უფრო მხნედ და გულ-მოდგინედ მუშაობდნენ და თუ მეტი არა, ნაკლები საქონელი არ მოამზადეს. კიდევაც მოემატა მოგება ქარხანას, რადგან შემაც ნაკლები დაიწვა და სანათიცა. წლიურ ანგარიშის შემდეგ ქარხნის პატრონი აცხადებს, რაკი ასეთი სასარგებლო გამოდგა ჩემი ცდა, შემდეგაც 8 საათზედ მეტს არ ვამუშავებ დღეში ჩემს მუშებსაო.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** საზღვარ-გარეთის გაზეთებში შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი კოშუტის დასაფლავების შემდეგ. „კოშუტის დასაფლავებას ისეთი დიადი ხასიათი ჰქონდა, როგორსაც არ მოელოდნენ თვით თავგატაცებულნი მისნი მომხრენი და მისნი მადმერთებელნი. არც ზარბაზნები უსროლიათ ამ დღეს, არც თოფები, მხოლოდ ორს ეკკლესიაში იკვროდა ზარი, ეპისკოპოსის ნებართვით. მაგრამ ამისდა მიუხედავად სამგლოვიარო პროცესიამ დიდად იმოქმედა ხალხზედ.

„მთელი ქალაქი შავებში იყო. ყველგან, ყაზარმებსა და სახელმწიფო ოპერის თეატრს გარდა, ჰფრიალებდნენ შავნი დროშანი, დიდძალი შენობები თავიდგან ბოლომდე შავის ქსოვილებით იყო დაფარული. ყოველს ფანჯარაზედ გრძლად გადმოფენილი იყო შავი ქსოვილი, სახლის ბოძები შავათ შეეღებნათ და საერო დროშებსაც-კი შავი ჩიქილა ჰქონდა მიმაგრებული. შავ ლეჩაქ მოხვეული ფანრები სუსტად ანათებდა. შავი ქსოვილები იმდენი გაიყიდა, რომ მოლაზიებმა ვეღარ დააკმაყოფილეს მსურველები, იძულებულნი იყვნენ შავი მაუდი გამოეწერათ ვენიდგანა და ბრიუნიდგან.

„დილის 10 საათზედ დაიწყო საერო მუზეიში ეს სამწუხარო ამბავი. ყოველთ უწინარეს ეპისკოპოსმა ლოცვა წაიკითხა, შემდეგ მგალობელთა საზოგადოებამ სთქვა საერო საგალობელი „Szozat“-ი. მერე მოხუცმა პოეტმა მავრ იოკაიმ წარმოსთქვა სიტყვა, მან კოშუტს საერო გმირი უწოდა და ამასთან მორიგებასა ჰქადაგებდა. იქავე მოახსენა ხალხს, რომ დედოფალმა ელისაბედმა თავისის ხელით დაადო დაფნის გვირგვინი დეაკის კუბოსაო. უნგრეთის ერმა იცის პატივისცემა თავისთა მიცვალებულთა და დაფასება ცოცხლებისაც. უნგრეთის სახელმწიფო მახვილს ერთს მხარეს აწერია: „ბრძოლა თავისუფლებისთვის“, მეორე მხარეს: „სიკვდილი სამშობლოსა და ჩვენის მეფისათვის“.

„იოკაის სიტყვამ დიდი მოქმედება იქონია. კოშუტის შვილი იქავე, მამის კუბოსთან, მივარდა მოხუცს, გადაეხვია და კოცნა დაუწყო. შემდეგ რამდენიმე სიტყვა სთქვა ქალაქის მოურავის თანაშემწემ გარლაშიმ და პროცესია დაიძრა.

«პროცესიას წინ უძღოდნენ ცხენოსნები მოწესენი, ამათ მისდევდნენ დეპუტაციები სხვა-და-სხვა ქალაქისა, საზოგადოებისა და ამხანაგობისა თავ-თავისის სამგლოვიარო ნიშნებით. შემდეგ მიდიოდა ოცამდე ამფიონი, ავსებით სავსე გვირგვინებით, სულ 6,000-მდე გვირგვინი იყო გამოგზავნილი. ეტლებს მიჰყვებოდა 48 ჯარის-კაცი (1848 წლის სახსოვრად), კოშუტის მებრძოლნი, ტყვიით დაფლეთილის დროშებით. შემდეგ მიდიოდნენ ქალაქის საბჭოს წევრნი. სამღვდელოება წინ უძღოდა რვა ცხენ შებმულს სამგლოვიარო ეტლს, რომლის შემდეგ მიდიოდნენ კოშუტის შვილიშვილები და ნათესავები, შემდეგ ყველა დეპუტატები, უთვალავი რიცხვი მოქალაქეებისა, სტუდენტები და ქალები.

„სასაფლაოზედ ილაპარაკეს პასტორმა და დეპუტატებმა იუსტმა და გერბნემ, აგრეთვე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. შემდეგ საერო საგალობელი დაუკრა მუსიკამ და კუბო ჩაუშვეს დროებითს აკლდამაში. როდესაც კოშუტის შვილები ქალაქში დაბრუნდნენ, ხალხი დიდად აღტაცებული დაუხვდა.

უკვე ცნობილია, რომ ზოგიერთს ადგილებში დიდი ვიწროობა იყო, ასე რომ 250 კაცამდე ცოტად თუ ბევრად დაშავდა.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ოსმალეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ მეორე შვილი სულთან აბდულ-ჰამიდის, პრინცი ბურჰანედინ-ეფენდი დიდის გულ-მოდგინებით სწავლობს მუსიკას და არა მცირედი ნიჭი აღმოაჩინა მუსიკის სწავლაშიო. ამ ცოტას ხანში შესთხზა ერთი მარში, რომელიც, სულთანის ბრძანებით, სამხედრო მუსიკამ შეისწავლა. ამ გვარის პატივისთვის მუსიკის მეთაურებმა მადლობა მოახსენეს სულთანს.

—

გერმანიაში გაისტუმრეს ვარშავის რკინის გზით ორი ვაგონი რუსეთის დათვები, რომელიც გერმანელმა კომისიონერებმა შეიძინეს ზოოლოგიურ ბაღისა და მხეცების სადგურისათვის. ამათში 12 დიდი დათვია, 6 დათვის ბელი და [illegible] მუ დათვი. დათვები უყიდნიათ დონეცის გუბერნიის გლეხებისაგან, რომელთაც თვე ნახევრის განმავლობაში დაუჭერიათ ეს პირუტყვები. თითო დიდ დათვში მიუციათ 100 მ., დათვის ბელში—30 მ. და მუ დათვში 1[illegible] მ.

—

ახალ-ზელანდიაში დედაკაცებმა, დიდხნისა და მედგრის ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს უფლება პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. პირველსავე არჩევნებში ქალების დასის კანდიდატები უფრო მეტი ამოარჩიეს, ვიდრე კაცებისა, რის გამოც ორივე კუნძულზედ საშინელი საპოლიტიკო ბრძოლა ასტყდა ქალთა და კაცთა შორის. ქალები შეერთდნენ ერთ დასად, ასე რომ კაცებსაც მეტი ღონე არა ჰქონდათ, ესევე უნდა მოქცეულიყვნენ. ყოველმა საპოლიტიკო დასმა ადგილი დაუთმო მხოლოდ ერთს, რომლის პროგრამა შეადგენს: მამა-კაცთა უფლების დაცვას. ამ რიგად ეხლა ახალ-ზელანდიაში არსებობს მხოლოდ ორი დასი—დედა-კაცთა და მამა-კაცთა. მაგრამ, რადგან ქალები ყველგან კაცებს სჭარბობენ რიცხვით, უკანასკნელნი ძალა-უნებურად იძულებულნი არიან ქალების გამგეობის ქვეშ ყოფნას. ქალთა გამგეობამ უპირველეს ყოვლისა, ხელი მიჰყო ლოთებსა და მედუქნეებს. სახეში აქვთ პირველშივე გამოსცენ კანონი სასმელ დუქნების დაკეტვის შესახებ. აგრეთვე ისიც უნდათ დააკანონონ, რომ ყოველი ცოლიანი კაცი ვალდებული იყოს საღამოს 8 საათზედ დაბრუნდეს სახლში.

## სამეცნიერო ნაწილი

—

პეტერბურგის საიურიდიო ჟურნალის უკანასკნელს წიგნში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ე. ბელლინისა „ჩაგონება გამოძიების დროს“. ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული ის ნებსითნი და უნებლიეთნი შთაგონებანი, რომელთა გამო მოწმეცა და ბრალდებულიც ხშირად ჭეშმარიტების წინააღმდეგს ჩვენებას იძლევა. ბელლინის აზრით, მოწმეს უპირველეს ყოვლისა გულსა და სულს უხუთავს ჯერ გამოძიების გარემოვითარება და მერე ასეთი თუ ისეთი ქცევა გამომძიებელთა. ზაფრა-მორეული, მოუთმენელი გამომძიებელი გონებას უბნევს უიმისოდაც სახტად დარჩენილ მოწმეს, მაშინ როდესაც გულ-ტკბილი, გულ-მშვიდი გამომძიებელი აშოშმინებს და აბედვინებს ლაპარაკს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არის შიში და, აი, ბელინის აზრით, რა შიშია: ვსთქვათ, გამომძიებელი გულ-დამშვიდებული ტკბილი კაცია და ჰხედავს, რომ მოწმეს გონება ვერ მოუკრებია, ვერ დაშოშმანებულა. ამისთანა გამომძიებელი ტკბილად დაუწყებს ლაპარაკს და ისეთს რასმე ჰკითხავს, რომლის პასუხიც თვით კითხვაშივეა მოთავსებული. „აბა, ეს მითხარი, ასე ხომ არა ყოფილაო“ და ამ ნაირის ლაპარაკით თითქო თითონვე ასწავლის, ასეთი პასუხი მამეციო. შეშინებული, შემკრთალი, აღელვებული მოწმე ვერას ახერხებს და თითქმის იმასვე იმეორებს, რაც გამომძიებელს წინადვე უნდა, რაც იმას ჰგონია, რომ ასე იქნებოდაო. მოწმეს უხარიან, რომ აი გამოვალ გაჭირვებიდამ, ვათავებ ჩვენების მიცემასაო; ეძლევა ამ გვარს ფიქრს და იმის აღარ დაეძებს, რომ მისი ჩვენება ეწინააღმდეგება, არ შეესაბამება იმას, რაც მან იცის საქმის შესახებ. ამის დარდი აღარა აქვს, ეშინიან კიდეც, რომ კრიტიკის თვალით შეჰხედოს ან თავის ჩვენებას, ან იმას, რასაც ჰკითხავენ და რაც არ შეეწონება გამომძიებლის მიერ ჩაძახებულს, ჩაგონებულს, თითქმის ნაკარნახევს. იშვიათად არ მოხდება ხოლმე, რომ მოწმე, რომელმაც მოაწერა ხელი ჩვენების განაჩენს და, გარედ გამოსვლის შემდეგ, თავისუფლად ამოისუნთქა, თითქო დიდი ტვირთი მოიშორა თავიდამაო, მერე დაშოშმინდება, იგონებს ყველაფერს, ითვალისწინებს დანაშაულობის ამბავს, და ჰხედავს, რომ სრულებით ისე არ აჩვენა, როგორც ნამდვილად იყო. მაშინვე მირბის კვლავ გამომძიებელთან და ეუბნება, სხვაფრივ გაჩვენე, სხვაფრივ ვიმოწმე, უნდა შეიცვალოს ჩემი ჩვენება, საქმე ეგრე არ ყოფილაო. გარნა სხვა ნაირადაც მოხდება ხოლმე. თუ მოწამე გულ-ჩვილი კაცია, ნერვებით სუსტი და ფიცხის გუნებისაა, ის აღარ დაფიქრდება, ანგარიშს აღარა სთხოვს თავის თავს იმისას, თუ რა სთქვა, რა ჩვენება მისცა გამომძიებელს, აღარ არჩევს მართალს ტყუილისაგან; გამომძიებლის მიერ ჩაგონებულს, ნაკარ-ნახევს უკვე შეითვისებს, შეისისხლ-ხორცებს, შეუფერ-შეუწონებს იმას, რაც წინად იცოდა ნამდვილად და ახლა ვეღარ მოუგონია, რა იცოდა წინად და რა შეითვისა შემდეგ; ეს შეთვისებული, ასე ჰგონია, მართლა მე ვნახე ჩემის თვალით, მე ვიგრძენიო. რაც იმ წუთშივე გაუგონია, იმის შესახებაც ასე ჰგონებს, ვითომ მისი მოწმე მე თითონ ვიყავიო. ცხადია, აქ შთაგონება მზად არის; მეხსიერება, ხსოვნად ღრმად და მტკიცედ მოტყუებულია; ამისთანა მოწმე სასამართლოშიაც იმასვე დაუწყებს მტკიცებას, რაც ჩააგონეს, რადგან დარწმუნებულია, რომ სწორედ ისე იყო და არა სხვაფრივ.

ასევე მოსდით ბრალდებულთაც: ვინც ენა-მეტყველია, იცის, როგორ მოიხმაროს ძალა თვისის მჭერმეტყველობისა, მას ადვილად შეუძლიან ძალის-ძალად გასტეხოს და ატვირთვებინოს დანაშაული გულ-ჩვილ ყმაწვილს, დედა-კაცს, გინა სუსტის ხასიათის მამაკაცს; შეიძლება ჩააგონო, დააჯერო კაცი, რომ დამნაშავეა, ისევე, როგორც შეიძლება დაარწმუნო მოწმე, რომ ესა და ეს გინახავსო. რა-კი ამისთანა რასმე ჩააგონებ, მერე წვრილმანების ჩაგონება ძნელი აღარ არის. ჩაგონების გარდა მერე, მოქმედობს თვით-ჩაგონებაც, ფიქროცნება და ფანტაზია ვითომ და ბრალდებულისა და სხვ.

და აი სწორედ ამ წვრილმანებსა აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ გინდათ, შეამოწმოთ მართლა ჩაგონება იყო თუ არა. თუ ეს წვრილმანი გარემოებანი არ შეეწონება, არ შეეფერება ნამდვილად მომხდარის დანაშაულის წვრილმანებს, ცხადია, მაშინვე გამოჩნდება, რომ აქ ჩაგონება ყოფილა თუ მართლა, რაც უკვე მტკიცედ ცნობილია, იმას არ ეთანხმება ჩვენება, ან ლაპარაკი მოწმისი და ბრალდებლის, ეს პირველი დამტკიცებაა იმისი, რომ ჩაუგონებიათ მათთვის ნალაპარაკევი, ტყუილია ყოველივე მათი თქმული, შეცდომაა სულ.

ეს სამეცნიერო მოსაზრებანიო ამბობს გაზეთი Рус. Вѣд-ი: ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რაოდენად საჭიროა შეიცვალოს ეხლანდელი შინაურული, კარჩაკეტილი წესი სამოსამართლო საქმეთ წარმოების, პროცესისა. ამისთანა წესის გამო, ხშირად გამომძიებელს გაიტაცებს როლი მეძებარისა და, ადვილად შესაძლოა, თვითონაც თვით-შთაგონებამ შეიპყროს და სხვებიც გაიტაცოს თვისდა უნებურად «ჩაგონების» შემწეობით. მხოლოდ ცხადს, საჯარო გამოძიებასა და ამ გამოძიებაში დამცველის მონაწილეობას შეუძლიან დაიფაროს სამართალი და მართლ-მსაჯულება ამისთანა საშიშ ყოვლად სანანურ, გაუსწორებელ შეცდომათაგან.

## გამოსადეგი ცნობა

—

ხეში ხვრელის ამოვსება. თუ ხვრელი მოდიდოა, მეტადრე კარებისა ან სხვისა, ნუყრია გამოვარდნილი და დაცობა სჭირია, ამის გამოსამსებათ საგოზავი („ზამასკა“) არ ვარგა, რადგან გამძლე არ არის. ამისთანა შემთხვევაში ეს საშუალება სჯობიან: დურგლის წებო გახსენით და აურიეთ შიგ ხის ნახერხი (ნახერხი ადრევე კარგად უნდა გამოაშროთ და დაფშვნიტოთ), ისე რომ ცომივით გასდეს და ამ ცომით შეავსოთ საცა-კი ხეს ან ფიცარს ხვრელი აქვს. თუ ვინაცობაა ერთის გავკეთებით ვერ ამოივსო კარგად ეს საშუალებავე გაიმეორეთ. ეს სრულიად საკმარისია, რომ სიმაგრით შევსებული ადგილი სჯობნიდეს კიდეც თვით ხეს.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

I

ამ წლის თებერვლის 26-ს ქ. განჯაში აქ მცხოვრებ ქართველობამ გვამართეთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ქართული საღამო, რომელიც შესდგებოდა სამის განყოფილებიდგან: 1) ა. ცაგარლის კომედია „ხაიუშში“, 2) ქართული და რუსული სიმღერები და 3) ლეკური და ევროპიული ცეკვა კოტილიონით. გამგებელნი ამ საღამოსი უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს გაზეთ „ივერიაში“ ამ საღამოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში:

შემოსავალი:

1) ბილეთების გაყიდვიდგან 525 მ. 40 კ., 2) კერძო პირთა შემოწირულობანი 110 მან., სულ 635 მ. 40 კ.

გასავალი:

დაიხარჯა საღამოს გასამართავად 314 მან. 59 კ., ფოსტას ფულის გასაგზავნი 81 კ. სულ 315 მან. 40 კ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 320 მან., რომელთაგან 270 მან. გაეგზავნა წერა-კითხვის საზოგადოებას და 50 მანათ. ქართულ დრამატიულ საზოგადოებას კოსტიუმების დათმობისათვის.

«საღამოს» გამგებელნი ვალად ჰრაცხვენ უძღვნან მადლობა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისას და ყველა იმ პირთ, რომელთაც აღმოუჩინეს დახმარება ამ საღამოს გამართვას როგორც შრომით, ისე ფულით.

ამასთან ვთხოვთ „Кавказъ“-ის და „Нов. Обоз.“-ს რედაქციებს ეს ანგარიში გადაბეჭდონ თავიანთ გაზეთებში.

საღამოს გამგებელნი: გიორგი მაჩაბელი
სოლომონ მაჩაბელი
ნ. ბაქრაძე

ქ. განჯა

II

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით ჩემი უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც ქალაქ ოზურგეთში გამართეს ქართულ-რუსული წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით და შემოსავლის ერთი მეოთხედი

კეთილ ინებეს და ჩემს სასარგებლოდ გადასდეს.

მოწაფე ნიკიტის სასწავლებლისა მ. კვირკველიძე

ნიკიტა

# დეპეშა

29 მარტი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია წესი იმისი, თუ რა გვარად უნდა მიიღონ მონაწილეობა ექსპონენტებმა სრულიად რუსეთის გამოფენაში 1896 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში.

საერო განათლების სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი დაბალ სახელოსნო სასწავლებელთა დაარსებისა სოფლებსა, ქალაქებსა და ქალაქის მახლობლად მყოფ საავარაკო დაბებში.

პეტერბურგის ბირჟა, 29 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,43 | 7,47 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 1/2 | 149 1/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 243 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 221 | — ,, | — ,, |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 192 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . | — ,, | — ,, | 101 5/8 |
| 5°/₀ . . . . . | — ,, | — ,, | 99 |
| ქუთაისის ბანკის 6°/₀. | — ,, | — ,, | 101 5/8 |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | 99 |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/4 | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7 1/2 საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი**, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერიფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში

**მარიამი**
ანუ
**ყვავილების კალათი**

მოთხრობა ყმაწვილებისათვის
ქრისტეფორე შმიდტისა.
თარგმანი
სალომე შუბათელისა
ფასი 10 კაპ.

(5—2)

---

**ცხოვრება**
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნების მაღაზიაში. გ. თავართქილაძის გამოცემული.

**ყაჩის მოვლა**
ნ. შარაშიძისა
56 გვერდი 10 კ.
და
მოხუცი გერასიმეს ლომი მისივე.
5 კ.

(3—1065—3)

---

**„სიჭაბუკის ცოდვა“**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

---

დაიბეჭდა და ისყიდება
ხიდდეკელის, წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში
მეორე გამოცემა წიგნისა:

**УЧЕБНИКЪ**
**ГРУЗИНКАГО ЯЗЫКА**
для русскихъ
СОСТ. МИХАИЛЪ НАСИДЗЕ
цѣна 50 коп.

(10—4)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |

---

სამეურნეო გაზეთი
**„მეურნე“**
გამოდის კვირაში ერთხელ.

**გაზეთის პროგრამმა:**

I მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ.
II სამეურნეო ეკონომია.
III წერილები ხვნა-თესვაზედ, ბაღოსნობაზე, მებოსტნობაზე, მევენახობაზე, საქონლის მოვლა-მოშენებაზე და საზოგადოდ ყოველგვარ სამეურნეო საქმეზე.
IV სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთ-მოძღვრება და მეხანიკა.
V ვეტერინარობა (ბეითალობა) და სოფლის ჰიგიენა.
VI მეურნეობის ამბები და კორესპონდენციები.
VII განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში.
VIII სამეურნეო ბიბლიოგრაფია.
IX სოფლის ნაწარმოების ბაზრები.
X ცნობები თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვ.
XI მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა.
XII ნარკვევი,
XIII კითხვა-პასუხი.
XIV სურათები.
XV გამოსადეგი ადრესები.
XVI განცხადებანი.
XVII დამატებანი, რომელშიაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ტფილისში წლით 4 მანეთი | ტფილისს გარეთ: წლით 5 მ. |
| ნახევარის წლით 2 მ. 50 კ. | ნახევარის წლით 3 მ. |

ამ ნომრიდან გაზეთში მოღვაწეობენ ახალნი თანამშრომელნი, რომელთა მეოხებით რედაქციას სრული იმედი აქვს, რომ იგი პირნათლად აასრულებს თავისს მოვალეობას-

ვისაც „მეურნის“ გამოწერა სურს, უნდა მიმართოს: ტფილისში „მეურნის“ რედაქციაში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას“; ქუთაისში, რედაქციისა და კანტორის განყოფილებას, ჭყონიას სახლში და წიგნის მაღაზიებს: ძმ. ჭილაძესა, ძმ. წერეთელთა და კ. ბეჟანიშვილისას; დ. ყვირილაში თ. ხუსკივაძეს; ჯიხაიშს დავით ლეკანის ძეს ღოღობერიძეს, ოზურგეთს და ახალსენაკში კ. თავართქილაძის სტამბებს და ბათომში პავლე შ. ჭყონიას, ტამოჟნის მოხელეთა სადგომში.

---

გაზეთში დასაბეჭდად განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე. თითოჯერ ბწკარის დაბეჭდვა ეღირება პირველ გვერდზე აბაზი და უკანასკნელზედ—ორი შაური.

---

„მეურნეში“ დასაბეჭდად დანიშნული წერილები უნდა გამოიგზავნოს რედაქციისა ანუ მის ქუთაითურ განყოფილების სახელობაზე. წერილები, საჭიროებისდაგვარად, იქნებიან შესწორებულნი ანუ შემოკლებულნი და თუ რომელიმე წერილი რაიმე მიზეზით არ დაიბეჭდება, იმაზე მიწერ-მოწერას რედაქცია არა კისრულობს.

---

რედაქცია იმყოფება ტფილისში: კუკია, რეუტის ქუჩა, სახლი № 10. რედაქციისა და კანტორის განყოფილება ქუთაისში, ჭყონიას სახლში. (5—5)

---

**ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვის ქ. ტფილისში**

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბახტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა მოდუღებული** საღებავ წამლებისთვის და ზეთები კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღაზიებში: საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოკანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობჟანსკისა, და ვარანცოვის ძეგლთან, კარაკოზოვთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მაკაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდადოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, გაზალიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** მიხაილოვის ქუჩაზედ, კარლოვის სახლში ვორონცოვის ძეგლთან, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, იარმუკაზე, ბუდაღოვის სახლში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრეთვე **ჩენჩოვ** ძროხებისა და ხარების საკვებად. (10—8)

---



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

**ტურბინები**

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Марта 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე